საქართველოს მთავრობის

დადგენილება №47

2016 წლის 2 თებერვალი

ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 1533) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. II ხარისხის ხე-ტყე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებებში, კალენდარული წლის განმავლობაში, ერთ კომლს (ოჯახს) შესაძლებელია მიეცეს არაუმეტეს 15 $მ^3$-ისა. ამ მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (გარდა ქ. თბილისისა) მიერ ხდება ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლების (ოჯახების) წარმომადგენელთა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) სიების მართვის ორგანოსათვის წარდგენა, ხოლო დაცული ტერიტორიიდან გასაცემი II ხარისხის ხე-ტყის ოდენობა განისაზღვრება დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმითა და დროებითი რეგულირების წესით.“.

2. 62-ე მუხლის „$ა^1$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$ა^1$) ტყის ფონდში კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის – 8 000 ლარი (დღგ-ის ჩათვლით) 1 ჰექტარამდე;“.

მუხლი 2

ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება იმ სამართალურთიერთობებზე, რომლებიც ტყის ფონდში კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების სფეროში უკვე წარმოშობილია ამ დადგენილების ამოქმედებამდე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**